

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა 2004 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების განწერა, ხოლო შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 2004 წლის სამი თვის ძირითადი პარამეტრები.

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობა (ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე) განისაზღვრა 260801.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლიდან საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებისა და გრანტების სახით ფაქტიურად მიღებული იქნა 297391.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 114%-ს შეადგენს. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილში საბიუჯეტო შემოსავლებისა და გრანტების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 178201.0 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებული იქნა 216284.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 121%-ს შეადგენს.

2004 წლის პირველი კვარტლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრიდან საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრება 148701.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, I აპრილის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე ჩარიცხული იქნა 146321.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 98%. ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საშემოსავლო გადასახადიდან ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 7088.0 ათასი ლარი, საიდანაც სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშებზე მიღებული იქნა 7298.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103%;

საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელმა 2511.0 ათასი ლარი შეადგინა, ფაქტობრივად ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 4747.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 189%;

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 97793.0 ათასი ლარი, სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე მიღებული იქნა 91753.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94%. მათ შორის: ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 47883.0 ათასი ლარით, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 47693.0 ათასი ლარი, ანუ პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლის 100%; იმპორტირებული პროდუქციიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 49910.0 ათასი ლარით, საიდანაც მიღებული იქნა 44060.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 88%.

აქციზის სახით ნაცვლად საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 26615.0 ათასი ლარისა, ფაქტიურად მიღებული იქნა 27163.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102%. მათ შორის: ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან აქციზის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 7701.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად მიღებული იქნა 8611.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 112%; იმპორტირებული პროდუქციის აქციზიდან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 18914.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 18552.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98%. აქედან, საავტომობილო ბენზინის აქციზიდან ცენტრალურ ბუჯეტში მიღებული იქნა 7367.0 ათასი ლარი, სხვა ნავთობპროდუქტებიდან -2305.0 ათასი ლარი, თამბაქოს ნაწარმიდან -7743.0 ათასი ლარი, სხვა აქციზური პროდუქციიდან -1137.0 ათასი ლარი;

საბაჟო გადასახადიდან (ფიქსირებული გადასახადი მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე ჩათვლით) მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 14054.0 ათასი ლარი, ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებული იქნა 15069.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107%;

მთლიანობაში, 2004 წლის პირველ კვარტალში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებიდან საბაჟო დეპარტამენტის მიერ საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 82878.0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებული იქნა 77889.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 94%, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 65822.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად მობილიზებული იქნა 68432.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებულ არასაგადასახადო შემოსავლებს, საანგარიშო პერიოდში ამ სახის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 29500.0 ათასი ლარით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე მიღებული იქნა 58802.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 199%. მათ შორის:

- გაცემული კრედიტების დაბრუნებიდან ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 4720.0 ათასი ლარისა, მიღებული იქნა 4733.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 100%. აქედან: უცხოური კრედიტებით გაცემული სახსრებიდან მიღებული იქნა 4714.0 ათასი

ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის (4500.0 ათასი ლარი) 105%-ს შეადგენს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული კრედიტებიდან – 19 ათასი ლარი, რაც გეგმიურ მაჩვენებელზე (220.0 ათასი ლარი) 201.0 ათასი ლარით ნაკლებია.

- საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 12907.0 ათასი ლარი;
- ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, შემოსავლები არაკომერციული და თანმდევი (არაძირითადი) გაყიდვიდან მიღებული იქნა 2899.0 ათასი ლარი;
- ადმინისტრაციული ჯარიმებით და სანქციებით მიღებულმა შემოსავლებმა 1717.0 ათასი ლარი შეადგინა;
- სხვა არასაგადასახადო შემოსავლების სახით მიღებული იქნა 36546.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის (გეგმა-24780.0 ათასი ლარი) 147%-ია. აქედან: სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მოგებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 824.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის (გეგმა-700.0 ათასი ლარი) 118%-ია; მიწის განსახელმწიფოებრიობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 117.0 ათასი ლარი; ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული იქნა 12000.0 ათასი ლარი (გეგმა-12000.0 ათასი ლარი) საპროგნოზო პარამეტრის 100%; სხვა შემოსავლებმა შეადგინა 23605.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (12080.0 ათასი ლარი) 195%.

უცხოეთიდან გრანტების სახით 2004 წლის პირველ კვარტალში ფაქტობრივად მიღებული იქნა 11161.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- მსოფლიო ბანკიდან საინვესტიციო პროექტების თანმხლები გრანტის სახით მიღებული იქნა 294.0 ათასი ლარი;
- სხვა გრანტების სახით მიღებული იქნა 10867.0 ათასი ლარი.

რაც შეეხება სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში მიღებულ შემოსავლებს, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებმა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 68838.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (69805.0 ათასი ლარი) 99%. სახელმწიფო საგზაო ფონდში საანგარიშო პერიოდში მობილიზებულმა სახსრებმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მობილიზებული შემოსავლების გარეშე (1566.0 ათასი ლარი) შეადგინა 12269.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (12795.0 ათასი ლარი) 96%.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 2004 წლის პირველ კვარტალში გამოყენებული რესურსების ოდენობამ შეადგინა სულ 80278.2 ათასი ლარი.

აქედან, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან ფაქტიურად მიიმართა 36238.2 ათასი ლარი. მათ შორის:

–სახაზინო ვალდებულებების განთავსების გზით ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა 19385.0 ათასი ლარი;

–სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული იქნა 1595.0 ათასი ლარი;

– 2004 წლის პირველი იანვრისთვის არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრების ფაქტობრივად არსებულმა ოდენობამ შეადგინა 15258.2 ათასი ლარი. აქედან, სახელმწიფო საგზაო ფონდის არსებულმა გარდამავალმა საბრუნავმა სახსრებმა შეადგინა 1695.8 ათასი ლარი; სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის–5396.9 ათასი ლარი; ცენტრალური ბიუჯეტის–8165.5 ათასი ლარი, რომელიც გარდამავალი საბრუნავი სახსრების სახით გამოყენებული იქნა 2004 წლის იანვრის საბიუჯეტო ასიგნებათა დასაფინანსებლად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, ეროვნული ბანკის დასკვნითი ბრუნვით, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების 101 ანგარიშზე 2003 წლის 14 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან გადმორიცხული 21 ათასი ლარით, შეტანილი იქნა შესწორება და გაზრდილი იქნა გარდამავალი საბრუნავი სახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთი. ეროვნული ბანკის მიერ შემოსავლების №412 ფორმაში, აღნიშნული თანხიდან 18 ათასი ლარი ასახული იყო, როგორც საგზაო ფონდის 2003 წლის შემოსავალი, ხოლო ფულადი სახსრები აღრიცხული იქნა, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის გარდამავალი საბრუნავი სახსრები. ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულის დაზუსტება და გატარების გასწორება განახორციელა მიმდინარე წლის 27 მარტს, რამაც გამოიწვია შესაბამისად 18 ათასი ლარით საგზაო ფონდის საწყისი ნაშთის გაზრდა და ცენტრალური ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთის იგივე თანხით შემცირება.

რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებს, მსოფლიო ბანკის საინვესტიციო კრედიტების სახით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით მიღებული იქნა 44040.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები მსოფლიო ბანკის მიერ პირდაპირ ირიცხება შესაბამისი ინვესტიციური პროექტების განმახორციელებელი რგოლების მომსახურე კომერციული ბანკების ანგარიშებზე, საიდანაც მიმდინარეობს მათი ხარჯვა.

ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები

საქართველოს 2004 წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების საპროგნოზო ოდენობამ შეადგინა 294035.7 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით დამტკიცებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით“ ინსტრუქციის მიხედვით

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 230408.5 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 220960.5 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 259945.1 ათასი ლარი (გაწეულ ხარჯებში ჩართულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინვესტიციური პროექტების დაფინანსების თანხა 44334.0 ათასი ლარი, რომელიც არ ითვალისწინებს ვალდებულებისა და დამოწმების რეგისტრაციას), რაც დაგეგმილ ოდენობასთან მიმართებაში 34090.6 ათასი ლარით ნაკლებია და მის 88%-ს შეადგენს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის პირველი კვარტლის ხარჯებში ასახული არ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ არის შესაბამისი თანხის განაწილება ადმინისტრაციული და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 7 აპრილის №05-1/16 წერილით, სახაზინო სამსახურში წარმოდგენილია ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე პირველ კვარტალში გაწეული ხარჯები (ინფორმაცია ცალკე დანართის სახით თან ერთვის), რომლის დაფინანსება განხორციელდა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი ადგილზე დატოვებული სახსრებიდან. წარმოდგენილ ნაერთ მონაცემებში ასევე ასახულია ცენტრალური ბიუჯეტიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად გადარიცხული თანხა, რომელიც ცალკე დანართის სახით არ არის გაშიფრული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2004 წლის პირველი კვარტლის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები აღრიცხულია ამ თანხის გარეშე.

2004 წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების გასაცემად ცენტრალური ბიუჯეტიდან განსაზღვრული იყო 51329.7 ათასი ლარის გამოყოფა. ფაქტიურად ამ მიზნით რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 47349.1 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 47337.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 47137.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 92%-ს შეადგენს. აქედან, 10742.2 ათასი ლარი გაცემული იქნა წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვის ფონდიდან სახელფასო დავალიანებების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებებიდან.

შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული სოციალური ანარიცხების სახით პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი შეადგენდა 9878.9 ათას ლარს. ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების მიერ დამქირავებელთა ანარიცხების სახით საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 8561.9 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 8549.3

ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილი იქნა 8470.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 86%-ს შეადგენს. აქედან, 1886.7 ათასი ლარი გაცემული იქნა წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვის ფონდიდან სოციალური ანარიცხების დასაფარავად გამოყოფილი ასიგნებებიდან.

მივლინებებისათვის გათვალისწინებული იყო 2523.0 ათასი ლარის გამოყოფა, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1826.9 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ 1707.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მივლინებებზე საანგარიშო პერიოდში გაცემულმა თანხამ შეადგინა 1608.0 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 64%). აქედან: საქართველოს პარლამენტს გამოეყო 86.0 ათასი ლარი; თავდაცვის სამინისტროს—139.5 ათასი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროს—206.5 ათასი ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტროს—138.7 ათასი ლარი; სახელმწიფო კანცელარიას—792.0 ათასი ლარი; განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს—10.6 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს—3.9 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს—37.6 ათასი ლარი; სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს—20.0 ათასი ლარი; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურს—134.1 ათასი ლარი; საკონსტიტუციო სასამართლოს—4.7 ათასი ლარი; უშიშროების საბჭოს—11.3 ათასი ლარი; უშიშროების სამინისტროს—6.0 ათასი ლარი; არჩევნების დაფინანსების ფონდი 1.0 ათასი ლარი; განათლების სამინისტროს აპარატს—2.9 ათასი ლარი; სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს—4.0 ათასი ლარი; პროკურატურას—9.0 ათასი ლარი.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 56022.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 44781.9 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 41792.8 ათასი ლარი, ხოლო რეალურად გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 37749.7 ათას ლარს, რაც საგეგმო პარამეტრის 67%-ია. ამ კატეგორიიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვების ხარჯების მუხლით გაწეული ხარჯები. 2004 წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტიდან კვების ხარჯების სახით განსაზღვრული ასიგნებანი შეადგენდა 4910.0 ათას ლარს. აღნიშნული ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 4184.5 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 3916.5 ათასი ლარი, ხოლო ამ მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3874.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79%-ს შეადგენს.

სხვა საქონელი და მომსახურების კატეგორიიდან გაწეული დანარჩენი ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ოფისის ხარჯები: ვალდებულება – 2678.2 ათასი ლარი, დამოწმება – 2060.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1978.1 ათასი ლარი, დავალიანება – 82.4 ათასი ლარი;
- კომუნალური ხარჯები: ვალდებულება – 8160.0 ათასი ლარი, დამოწმება – 7835.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 7687.3 ათასი ლარი, დავალიანება – 147.9 ათასი ლარი;

- მედიკამენტების შექმნის ხარჯები: ვალდებულება – 112.9 ათასი ლარი, დამოწმება – 79.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 79.4 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარი და უნიფორმის ხარჯები: ვალდებულება – 689.5 ათასი ლარი, დამოწმება – 597.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 546.6 ათასი ლარი, დავალიანება – 51.3 ათასი ლარი;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები: ვალდებულება – 10860.9 ათასი ლარი, დამოწმება – 10373.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 8156.8 ათასი ლარი, დავალიანება – 2216.7 ათასი ლარი;
- სპეციალური პროგრამების მომსახურების ხარჯები: ვალდებულება – 4646.6 ათასი ლარი, დამოწმება – 3809.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 2909.1 ათასი ლარი, დავალიანება – 900.6 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები: ვალდებულება – 13449.3 ათასი ლარი, დამოწმება – 13120.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 12517.8 ათასი ლარი, დავალიანება – 602.3 ათასი ლარი.

ამასთან, მნიშვნელოვანია სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეული ხარჯების განხილვა თემატურად. კერძოდ, „სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიაში გათვალისწინებული ასიგნებებიდან ხორციელდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფინანსებაც. შესაბამისად, პირველ კვარტალში საელჩოების შენახვისათვის გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 5707.0 ათასი ლარი, საიდანაც დაფინანსებული იქნა 5689.7 ათასი ლარი (მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო და საცხოვრებელ ხარჯებს). ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა კომუნალური ხარჯების (მოხმარებული ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების ანაზღაურება, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასები) ასანაზღაურებლად გამოიყო 3540.7 ათასი ლარი, საიდანაც 3362.4 ათასი ლარი მიიმართა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებისათვის, ხოლო 178.3 ათასი ლარი მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურებისთვის.

ამავე მუხლის ანგარიშში წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე დაკისრებული თანხების სახით სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 2.2 ათასი ლარი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს-შ.პ.ს. „ძევის“ სასარგებლოდ. აღნიშნული თანხების პროგრამულად გატარება ხდება ჩამოჭრის შემდეგ ვალდებულებისა და დამოწმების ხელოვნურად გატარებით.

სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების კატეგორიიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 78196.1 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 69529.7 ათასი ლარი, დამოწმების

ოდენობამ შეადგინა 68996.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯებმა შეადგინა 61051.8 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი ოდენობის 78%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლიდან ძირითადად ხორციელდება სახელფასო და სოციალური ვალდებულებების დაფარვა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 21545.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (22806.0 ათასი ლარი) 94%, რაც მთლიანი მოცულობით მიიძღრათ სოციალურ ტრანსფერზე. ამავე მუხლიდან დევილითა შემწეობების დაფარვაზე მიიძღრათ 9715.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (9950.0 ათასი ლარი) 98%.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული ტრანსფერების საერთო მოცულობამ შეადგინა 11377.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- 6000.0 ათასი ლარი ტრანსფერი პენსიებზე;
- 3600.0 ათასი ლარი ტრანსფერი უმწეო (სოციალური) დახმარებებზე;
- 130.0 ათასი ლარი ტრანსფერი რეგრესული პენსიებისათვის;
- 1647.0 ათასი ლარი ტრანსფერი ჯამრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად;

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში კულტურის დაწესებულებები დაფინანსდა 1208.1 ათასი ლარით, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1411.7 ათასი ლარი) 86%-ია, საქართველოს ტელევიზიას და რადიომაუწყებლობას გამოეყო 2301.0 ათასი ლარი ანუ გეგმიური მაჩვენებლის (2595.6 ათასი ლარი) 89%.

კაპიტალური ხარჯების მუხლით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (გეგმა - 2536.9 ათასი ლარი, ვალდებულება - 1199.6 ათასი ლარი, დამოწმება-1117.9 ათასი ლარი) 39%-ს შეადგენს. აქედან: შინაგან საქმეთა სამინისტროს კაპიტალური ხარჯებისათვის გამოეყო 441.7 ათასი ლარი, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს-120.4 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს-155.2 ათასი ლარი; საქართველოს პარლამენტს-18.9 ათასი ლარი; არჩევნების დაფინანსების ფონდს-8.9 ათასი ლარი; საერთო სასამართლოებს-72.6 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს-30.7 ათასი ლარი; უშიშროების სამინისტროს-60.0 ათასი ლარი; სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს-91.0 ათასი ლარი; საქართველოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს-0.5 ათასი ლარი.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას, საანგარიშო პერიოდში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიძღრათ 25146.5 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა გეგმა - 27524.2 ათასი ლარი). აქედან, სესხის მომსახურების თანხამ შეადგინა 12520.7 ათასი ლარი, ხოლო საკუთრივ საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 12625.8 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენდა 25619.1 ათას ლარს, რაც გეგმიური მაჩვენებლის (24300.0 ათასი ლარი) 105%-ია. (აღნიშნული ხარჯების ჩამოჭრა სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ ხორციელდება ავტომატური წესით). მათ შორის:

— ეროვნული ბანკის სესხის მომსახურებისათვის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშიდან დაიხარჯა 19603.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიურ მაჩვენებელზე (18000.0 ათასი ლარი) 1603.3 ათასი ლარით მეტი;

— სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯებმა შეადგინა 6015.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6300.0 ათასი ლარი) 95%-ია.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების მომსახურებაში საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი გადახარჯვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული 1999 წლის 30 ივნისის №5-1 და 2000 წლის 7 აპრილის №19 საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად რესტრუქტურისებულ გრძელვადიან სესხებზე, ხელშეკრულების პირობების თანახმად, განხორციელდა 2003 დარიცხული სარგებლის (წლიური 6%) გადაანგარიშება წლის შედეგებით დაფიქსირებული ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით 8%-ზე. გადაანგარიშების შედეგად სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებლის თანხის სხვაობამ შეადგინა 2214 ათასი ლარი, რომლის დაფარვაც გადავადებული იქნა ეროვნული ბანკის 2003 წლის მოგების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვამდე.

ვინაიდან, უცნობი იყო თუ როდის მოხდებოდა ეროვნული ბანკის მოგების ჩარიცხვა, ზემოაღნიშნული თანხა არ იქნა გათვალისწინებული პირველი კვარტლის გეგმაში, თანხის ჩამოჭრა ბანკის მიერ განხორციელდა ავტომატურ რეჟიმში 2004 წლის 31 მარტს.

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით, ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ანგარიშში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ინვესტიციური კრედიტებისა და მისი თანმხლები გრანტების საფუძველზე შესაბამისი კომერციული ბანკების ანგარიშებიდან პირველ კვარტალში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინეს 44334.0 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილი მაჩვენებლის (31670.3 ათასი ლარი) 140%. ასევე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ინვესტიციური ხასიათის პროექტების ნაწილში საქართველოს მხარის თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან დაიგეგმა 10054.3 ათასი ლარის გამოყოფა, რაც საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7828.1 ათასი ლარით, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 78%.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინვესტიციური პროექტების ხაზით გაწეული ხარჯების ნაწილში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რადგანაც აღნიშნული ხარჯების გაწევა არ

ხორციელდება სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან, ამ ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით დამტკიცებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით“ ინსტრუქცია ვალდებულებისა და დამოწმების რეგისტრაციას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების შესრულების თანდართული დანართის შესაბამის გრაფაში ხარჯების ზემოაღნიშნული მიმართულებების ნაწილში ნაჩვენებია მხოლოდ გეგმიური და საკასო ხარჯების მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ მარტის ბოლოს ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებზე მიღებული თანხების სრულად ათვისება საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო და 1 აპრილის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ბიუჯეტის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 29536.4 ათასი ლარის ოდენობით, გარდამავალ ნაშთში ასახულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი.

ასევე, პირველი აპრილის მდგომარეობით ბიუჯეტის სავალუტო ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში შესაბამისი ექვივალენტით შეადგინა 1440.6 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2003 წელს გამოყოფილი თანხები მიმდინარე წლის დასაწყისში დაბრუნებული იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის ანგარიშზე, ვინაიდან ამ ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხდა მათზე გამოყოფილი თანხების სრულად ათვისება. სულ 2003 წელს გამოყოფილი თანხებიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაბრუნებული იქნა 425.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები მიმდინარე წელს მიმართული იქნა ცენტრალური ბიუჯეტის „წინა წელს მიღებული და გამოუყენებელი სახსრები“ შემოსავლების ანგარიშზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სპეცსახსრების

საბანკო ანგარიშებიდან გაწეული ხარჯების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ვ) პუნქტის შესაბამისად, 2004 წლის 1 იანვრდან საბიუჯეტო ორგანიზაციებს გაუუქმდათ სპეცსახსრები. კანონის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სახაზინო სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შეაჩერა სპეციალური სახსრების სალარე და სავალუტო ანგარიშებზე თანხების განთავსება.

ამასთან, საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიხსნა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სპეციალური ანგარიშები, რომლებზეც განთავსდება პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სპეციალური სახსრების ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური, სატენდერო მოსაკრებლების თანხების, საბიუჯეტო ორგანიზაციების გრანტის სახით გამოყოფილი სახსრების და საავადმყოფოთა რესტრუქტურირების ფონდის ანგარიშება და ანგარიშსწორება.

ასევე იმ ორგანიზაციების სპეცსახსრების ნაშთებიდან, რომელთა მიერ გაწეული მომსახურება იბეგრება საგადასახადო კოდექსით, მათ მიერ წარმოდგენილი წერილისა და საგადასახადო დავალებების თანახმად ხორციელდება სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთებიდან თანხების მიმართვა გადასახადის შესაბამის სახეებში.

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს წერილობით ეცნობათ ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშები, რომლებზეც უნდა განხორციელდეს მათ მიერ მობილიზებული საბიუჯეტო შემოსავლების ჩარიცხვა. ასევე ეთხოვათ ორგანიზაციებს უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთების სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომლებმაც სახაზინო სამსახურს წერილობით მომართეს კომერციულ ბანკებში ანგარიშების გახსნისათვის თანხმობის მისაღებად.

საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთების სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შეადარების შედეგად, საბიუჯეტო ორგანიზაციების წერილობითი დასტურისა და საგადასახადო დავალების საფუძველზე ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე 2004 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო მიმდინარე წელს სპეცსახსრების ანგარიშზე ჩარიცხული შემოსავლების გადატანა ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების შესაბამის ანგარიშებზე. ასევე, საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ნაშთებიდან რომელთა მიერ გაწეული მომსახურება იბეგრება საგადასახადო კოდექსით, მათ მიერ წარმოდგენილი წერილისა და საგადასახადო დავალების თანახმად ხორციელდება სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთებიდან თანხების მიმართვა გადასახადის შესაბამის სახეებში.

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციების მიერ მომსახურე კომერციულ ბანკებში გახსნილი სპეცსახსრების ანგარიშებიდან განხორციელებულ ოპერაციებს, აღნიშნულთან დაკავშირებით 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ინფორმაციები წარმოადგინეს: თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტმა; ცხინვალის პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა;

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა; 2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით კი ინფორმაციები წარმოადგინეს: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა; ცხინვალის პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა; საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა; თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტმა; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სპეცსახსრების საბანკო ანგარიშებიდან 2004 წლის პირველ კვარტალში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობამ შეადგინა 1755.3 ათასი ლარი. მათ შორის, შრომის ანაზღაურების მუხლიდან გაწეული იქნა 1038.1 ათასი ლარი; დამქირავებელიდან ანარიცხები – 306.7 ათასი ლარი; მივლინებიდან – 11.8 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურებიდან – 325.5 ათასი ლარი; სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერტების მუხლიდან – 2.0 ათასი ლარი; ხოლო კაპიტალური ხარჯებიდან – 71.2 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2004 წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები, ცენტრალური ბიუჯეტის ორგანიზაციებზე გაწეული ხარჯების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით 2004 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 78213.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 81177.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიურ მაჩვენებელზე 2964.3 ათასი ლარით ნაკლები (103.8%), რაც საერთო ხარჯების 31.2%-ია;

თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე დაგეგმილი იყო 29154.7 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურად დაფინანსდა 24238.5 ათასი ლარით ანუ დაგეგმილზე 4916.2 ათასი ლარით ნაკლები (83%), რაც საერთო ხარჯების 9.3%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების ხაზით დაგეგმილი იყო 35645.8 ათასი ლარის გამოყოფა, რეალურად დაფინანსებული ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 30675.6 ათასი ლარი ანუ დაგეგმილზე 4970.2 ათასი ლარით ნაკლები (86%), რაც საერთო ხარჯების 11.8%-ია;

განათლების ღონისძიებების დაფინანსებისათვის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 14993.0 ათასი ლარის გამოყოფა, რეალურად კი შესაძლებელი გახდა 13418.6 ათასი ლარის დაფინანსება, რაც გეგმიურ მაჩვენებელზე 1574.4 ათასი ლარით ნაკლებია (89.5%) და საერთო ხარჯების 5.2%-ს შეადგენს;

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4642.9 ათასი ლარი. ამ

მიმართულებით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 1811.0 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე 2832.0 ლარით ნაკლები (39%), რაც საერთო ხარჯების 0.7%-ია;

სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე დაგეგმილი იყო 31065.3 ათასი ლარის გამოყოფა, რაც რეალურად 24902.6 ათასი ლარით დაფინანსდა (80.2%) ანუ საერთო ხარჯების 9.6% შეადგინა;

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით გამოყოფილმა თანხებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 962.6 ათასი ლარი, რაც დაგეგმილზე (1371.0 ათასი ლარი) 408.4 ათასი ლარით ნაკლებია (70.2%) და საერთო ხარჯების 0.4%-ს შეადგენს;

კულტურის, რელიგიის, სპორტის ღონისძიებების დაფინანსებისათვის საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული იყო 7230.6 ათასი ლარის გამოყოფა, რაც დაფინანსდა 5795.3 ათასი ლარით, ანუ გეგმაზე 1435.3 ათასი ლარით ნაკლები (80.1%), რაც საერთო ხარჯების 2.2%-ია;

სათბობ-ენერგეტიკის სფეროში საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 7622.6 ათასი ლარის გამოყოფა, რაც რეალურად დაფინანსებული იქნა 124.2 ათასი ლარის ოდენობით, ანუ გეგმაზე 7498.3 ათასი ლარით ნაკლები (1.6%);

სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობის და მონადირეობის ფუნქციონალური კოდით საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 5946.8 ათასი ლარის გამოყოფა. აქედან, რეალურად შესაძლებელი გახდა 3471.9 ათასი ლარის დაფინანსება, ანუ დაგეგმილზე 2474.9 ათასი ლარით ნაკლები (58.3%), რაც საერთო ხარჯების 1.3%-ია;

მრეწველობისა და მშენებლობის ფუნქციონალური კოდით საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 306.8 ათასი ლარის გამოყოფა, რაც შესრულდა 188.4 ათასი ლარის ფარგლებში, ანუ დაგეგმილზე 118.4 ათასი ლარით ნაკლები (61.4%);

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით საანგარიშო პერიოდში გამოიყო 60.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილ 163.5 ათას ლარზე 103.2 ათასი ლარით ნაკლებია (36.9%);

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ფუნქციონალური კოდით დაგეგმილი იყო 876.4 ათასი ლარის გამოყოფა, რაც რეალურად დაფინანსდა 708.7 ათასი ლარით, ანუ დაგეგმილზე 167.8 ათასი ლარით ნაკლები (80.9%);

სხვა არაკლასიფიცირებული კატეგორიების მიხედვით გათვალისწინებულ ხარჯებზე, რომლებშიც შედის სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, ტერიტორიული ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები, საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 76802.6 ათასი ლარის გამოყოფა, საიდანაც რეალურად დაფინანსდა 72409.1 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე 4393.5 ათასი ლარით ნაკლები (94.3%), რაც საერთო ხარჯების 27.9%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის ფონდი

2004 წლის პირველ კვარტალში საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 9406.8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსებული იქნა 4794.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 51%. აქედან: 450.0 ათასი ლარი გადაირიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ტრანსფერის სახით; სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს—ზ. საკანდელიძის ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის—5.0 ათასი ლარი; ანტიკორუფციულ ბიუროს—101.2 ათასი ლარი; საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს—15.0 ათასი ლარი; სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მ. ქორქიას ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის—5.0 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს—18.8 ათასი ლარი; თავდაცვის სამინისტროს „ნატო“-სთან ინტეგრაციის ღონისძიებებისათვის—4040.0 ათასი ლარი; შსს-ს ცენტრალურ აპარატს—92.3 ათასი ლარი; სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს—66.8 ათასი ლარი.

წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 31 დეკემბრის №639 ბრძანებით დამტკიცებულ იანვრის თვის გეგმაში ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდში წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისთვის გათვალისწინებული იქნა 18000.0 ათასი ლარი, მიმდინარე წლის 16 მარტის №155 ბრძანებით აღნიშნული თანხა გაიზარდა 1500.0 ათასი ლარით და შეადგინა 19500.0 ათასი ლარი, რომლის დაზუსტება და გადანაწილება განხორციელდა იანვარ-მარტის განმავლობაში ორგანიზაციების მიხედვით თანხით 18772.3 ათასი ლარი.

ამდენად, წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვისათვის ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 18772.3 ათასი ლარი. აქედან, საანგარიშო პერიოდში რეალურად დაფარული იქნა 18278.6 ათასი ლარი. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების მუხლით გამოყოფილი იქნა 10805.2 ათასი ლარი, რეალურად დაფარული იქნა 10742.2 ათასი ლარი;
- დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით გამოიყო 1929.9 ათასი ლარი, საიდანაც დაიფარა 1886.7 ათასი ლარი;
- სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გამოიყო 470.5 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიფარა 433.1 ათასი ლარი;
- მივლინების მუხლით გამოყოფილი იქნა 33.3 ათასი ლარი, რაც ფაქტიურად სრულად დაფინანსდა;
- სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერების მუხლით გამოყოფილი იქნა 4043.5 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად დაფინანსდა 3693.5 ათასი ლარი.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლები საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერისა და ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების დამქირავებლიდან ანარიცხების გათვალისწინებით 2004 წლის პირველ კვარტალში განისაზღვრა 94705.0 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 91290.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 96% (ეს მონაცემები არ მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებმაც წინასწარი ინფორმაციით შეადგინა 5931.1 ათასი ლარი).

ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ტრანსფერების სახით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიიღო 11377.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (17000.0 ათასი ლარი) 67%-ია. მათ შორის:

- ტრანსფერი პენსიებზე—6000.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (6000.0 ათასი ლარი) 100%;
- ტრანსფერი უმწეოთა სოციალურ (ოჯახების) დახმარებაზე —3600.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3600.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
- ტრანსფერი რეგრესიული პენსიების გასაცემად—130.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (130.0 ათასი ლარი) 100%;
- ტრანსფერი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებზე—1647.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (6700.0 ათასი ლარი) 25%.

იურიდიული პირების (დამქირავებლის) და მოქალაქეთა სოციალური გადასახადებიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური ანარიცხების გარეშე, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მიიღო 73130.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (75520.0 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადმოცემულმა თანხებმა შეადგინა 1382.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (2185.0 ათასი ლარი) 63%; წინა წლებში გაცემული პენსიების მობრუნებულმა თანხებმა შეადგინა 2.4 ათასი ლარი, ხოლო გაურკვეველმა შემოსავლებმა 0.7 ათასი ლარი.

2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე არსებულმა გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 5396.9 ათასი ლარი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეულმა ხარჯებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემების გარეშე შეადგინა 74644.8 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (83830.3 ათასი ლარი) ოდენობაზე 9185.5 ათასი ლარით ნაკლები (89%).

აქედან, პენსიონერთა პენსიების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 49651.1 ათასი ლარი, ანუ გეგმით გათვალისწინებულ (54752.3 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 5101.1 ათასი ლარით ნაკლები (91%);

—უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა დახმარებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2555.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3600.0 ათასი ლარი) 71%-ს შეადგენს;

—მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე გამოიყო 3162.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური (3366.4 ათასი ლარი) მაჩვენებლის 94%;

—მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე მიიმართა 10599.1 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილი (11414.7 ათასი ლარი) ოდენობის 93%;

—მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე მიიმართა 4253.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (4460.2 ათასი ლარი) 95%;

—შშმკ სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 733.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (966.3 ათასი ლარი) 76%;

—დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებულ დახმარებებზე მიიმართა 565.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (626.7 ათასი ლარი) 90%-ია;

—საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა 1345.5 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (1986.7 ათასი ლარი) ოდენობაზე 641.2 ათასი ლარით ნაკლები (68%);

—უმუშევრობის სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაზე გამოიყო 154.6 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (842.5 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 688.0 ათასი ლარით ნაკლები (18%);

—არ დაფინანსებულა 9 აპრილს დალუპულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა, რომლის გეგმიურმა მაჩვენებელმაც შეადგინა 7.4 ათასი ლარი;

—პენსიებისა და დახმარებების გაცემის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 870.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (1050.4 ათასი ლარი) 83%;

—წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვაზე მიიმართა 755.1 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ (756.7 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 1.6 ათასი ლარით ნაკლები (100%).

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმიური მოცულობა 2004 წლის პირველ კვარტალში განისაზღვრა 12795.0 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში საგზაო ფონდში მობილიზებული სულ შემოსავლების ოდენობამ შეადგინა 13965.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 109%. აქედან: შემოსავლებმა შეადგინეს 12269.4 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის

96%), ხოლო 2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულმა საწყისმა ნაშთმა შედგინა 1695.8 ათასი ლარი (ეროვნული ბანკის მიერ შეტანილი შესწორების შესაბამისად საგზაო ფონდის საწყისი ნაშთი გაიზარდა 18.3 ათასი ლარით).

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფაქტიურად საგზაო ფონდის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 10177.4 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილ ოდენობაზე (12801.0 ათასი ლარი) 2623.6 ათასი ლარით ნაკლები (80%).

მათ შორის:

1. გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის შენახვა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2457.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (3366.6 ათასი ლარი) 73%;
2. უცხოური კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებზე თანამონაწილეობის სახით გაწეული იქნა ხარჯი 480.0 ათასი ლარის ოდენობით, ანუ დაგეგმილი ოდენობის (1080.0 ათასი ლარი) 44%;
3. წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის დაფარვისათვის მიიმართა 4321.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (4920.0 ათასი ლარი) 88%;
4. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატის შენახვის ხარჯებმა შეადგინა 582.0 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე (809.4 ათასი ლარი) 227.4 ათასი ლარით ნაკლები (72%);
5. ათვისებულ კრედიტებზე ძირითადი ვალისა და სარგებლის გადახდის ხარჯებმა შეადგინა 1980.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (2150.0 ათასი ლარი) 92%;
6. მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ხარჯებმა შეადგინა 334.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (400.0 ათასი ლარი) 84%;
7. კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 21.4 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილზე (75.0 ათასი ლარი) 53.6 ათასი ლარით ნაკლები (28%).